ეუთოს ოფიციალური პირები აზერბაიჯანისა და სომხეთის მინისტრებს შეხვდნენ
შაბათი, 28 სექტემბერი 2013 17:00

ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები ჯეიმს უორლიკი (აშშ), იგორ პოპოვი (რუსეთი), ჟაკ ფორი (საფრანგეთი) და ეუთოს თავმჯდომარეს სპეციალური წარმომადგენელი ანჟეი კასპრშიკი ნიუ-იორკში აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდნენ.
ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას შეეხნენ. თანათავმდომარეებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერენ მხარს.
მათ აგრეთვე ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე 3 ქვეყნის პრეზიდენტების 2013 წლის 18 ივნისის განკარგულება გაიხსენეს. ის განკარგულება მხარეებს რეგიონში დაძაბულობის ზრდის და კონფლიქტის გაძლიერების ნაბიჯების თავის არიდებისკენ უწოდებს. თავის მხრივ, აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კონფლიქტის მოგვარებისთვის თანათავმჯდომარეებთან სამუშაოების გაგრძელებისთვის მზადყოფნა განაცხადეს.

1 / 1